



გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

15.02. 2013 წ.

თბილისი

შესავალი ნაწილი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია

მოსამართლე დალი აბუანდაძე

სხდომის მდივანი ეკატერინე მაღრაძე

მოსარჩელე - ფ-----ე
წარმომადგენლები - რ-----ე, დ-----ი

მოპასუხე - თ-----ე
წარმომადგენელი - რ-----ე

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო, სსიპ სოციალური მომსახურების
სააგენტო

წარმომადგენელი - ბ-----ი

ცენტრალური ორგანო - საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

დავის საგანი - „ ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ” 1980 წლის ჰააგის კონვენციის შესაბამისად კვიპროსის რესპუბლიკიდან გადაადგილებულ არასრულწლოვან კ-----ის დაბრუნება.

აღწერილობითი ნაწილი:

1. სასარჩელო მოთხოვნა

11. „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ 1980 წლის ჰააგის კონვენციის შესაბამისად კვიპროსის რესპუბლიკიდან გადაადგილებულ არასრულწლოვან კ-----ის დაბრუნება.

მოსარჩელე მხარის განმარტებით, დარღვეულია „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ 1980 წლის ჰააგის კონვენციის მოთხოვნები - არასრულწლოვანი კ-----ე არამართლზომიერად არის გადაადგილებული მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან - კვიპროსის რესპუბლიკიდან. კერძოდ, თ-----ემ 2012 წლის 14 აგვისტოს დედის თანხმობით ბავშვი წაიყვანა არდადეგების გასატარებლად, თუმცა დღემდე არ დაუბრუნებია, რაც ზემოაღნიშნული კონვენციის თანახმად წარმოადგენს კ-----ის საქართველოს ტერიტორიაზე უკანონო დაკავებას და კონვენციის მიზნებიდან და ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე ექვემდებარება მის დაუყონებლივ დაბრუნებას.

მოსარჩელე მხარის განმარტებით, თ-----ესთან განქორწინდა 2012 წლის 08 ოქტომბერს, თუმცა მანამდე 2011 წლის ივლისიდან მოპასუხემ მიატოვა ოჯახი და მუდმივად დაბრუნდა საქართველოში. მოპასუხე არის ალკოჰოლური სასმელის მომხმარებელი და ნასვამ მდგომარეობაში ვერ აკონტროლებს თავს. მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა შვილის თანდასწრებით. ცდილობს ბავშვს შეაზიზღოს დედა; მასზე ახდენს ფსიქოლოგიურ ზეწოლას იმ თვალსაზრისით, რომ შელახოს მისი რეპუტაცია. ემუქრება დედას, რომ გაწყვიტავს ყოველგვარ ურთიერთობას მასსა და ბავშვს შორის. არის უმუშევარი. აქვს ფინანსური პრობლემები. თავისი ეკონომიური მდგომარეობისა და არამდგრადი ხასიათის გამო არ შეუძლია აღზარდოს ბავშვი. 2012 წლის თებერვალში, როდესაც თ-----ე ჩავიდა კვიპროსში, დახია მოსარჩელის და ბავშვის დოკუმენტები - ბავშვის დაბადების მოწმობა, სამედიცინო ბარათი და კვიპროსში ცხოვრების უფლება რითაც სიძნელეები შეუქმნა ბავშვს. ამასთან გასათვალისწინებელია ის, რომ კ-----ე წლებია ცხოვრობს და სწავლობს კვიპროსში, ჩარიცხულია მე-6 კლასში, მაგრამ სასწავლებლად ვერ გამოცხადდა მოპასუხის არამართლზომიერი ქმედების გამო, რითაც ირღვევა არასრულწლოვანის ინტერესები. მოპასუხე არასდროს ეხმარებოდა მას ეკონომიურად ბავშვის აღზრდაში. ძირითადად ბავშვზე მეურვეობას ახორციელებდა დედა, რომელიც მუშაობს და აქვს სტაბილური შემოსავალი და ყველა პირობა არასრულწლოვანის აღზრდა-განვითარებისათვის. ის თანახმაა მამას ურთიერთობა ჰქონდეს შვილთან და ხელი შეუწყოს მათშორის თბილი ურთიერთობის გაღრმავებას, რისი დასტურია თანხმობა ბავშვის საქართველოში არდადეგების მამასთან ერთად გატარებაზე.

2. მოპასუხის პოზიცია

2.1. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო. მისი განმარტებით ბავშვის სურვილია დარჩეს საქართველოში.

3. ფაქტობრივი გარემოებები

3.1. უდავო ფაქტობრივი გარემოებები

3.1.1. საქართველოს მოქალაქე თ-----ე და საბერძნეთის მოქალაქე ფ-----ე რეგისტრირებულ ქორწინებაში გატარდნენ 06/11/1999 წელს. თანაცხოვრების პერიოდში შეეძინათ ერთი შვილი - კ-----ე დაბადებული 2000 წლის 27 ნოემბერს საქართველოში.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- მხარეთა ახსნა-განმარტება, ცნობა (ს.ფ. 14-37).

3.1.2. 2008 წლის აგვისტოდან თ-----ე და ფ-----ე დასახლდნენ კვიპროსში.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- მხარეთა ახსნა-განმარტება.

3.1.3. 2011 წლის ივლისიდან თ-----ე მუდმივად იმყოფება საქართველოში. არის უმუშვარი. ცხოვრობს დედასთან ერთად ბოლნისში.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- მხარეთა ახსნა-განმარტება.

3.1.4. ფ-----ე დღემდე ცხოვრობს და მუშაობს კვიპროსის რესპუბლიკაში და აქვს სტაბილური შემოსავალი, კარგი საცხოვრებელი პირობები.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- მხარეთა ახსნა-განმარტება.

3.1.5. 2012 წლის 08 ოქტომბრის ნიქოზიის საოჯახო სასამართლოს გადაწყვეტილებით თ-----ე და ფ-----ე განქორწინდნენ.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- მხარეთა ახსნა-განმარტება, სასამართლოს გადაწყვეტილება (ს.ფ.24).

3.1.6. არასრულწლოვანი კ-----ე 2008 წლიდან ცხოვრობს კვიპროსში. იგი სწავლობდა კვიპროსის რესპუბლიკაში, წმინდა ანტონიოს სახელობის დაწყებით სკოლაში, სადაც დაასრულა მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 კლასი. გადაყვანილი იქნა და ჩაეწერა მე-6 კლასში. დედის მიერ გადახდილია დაზღვევის და სააბონენტო შენატანი.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
- მხარეთა ახსნა-განმარტება, ცნობა (ს.ფ.22, 26).

3.1.7. 2012 წლის 23 ივლისს, ფ-----ემ განცხადება შეიტანა ნიქოზიის საოჯახო სასამართლოში ბავშვის შენახვის, მოვლისა და მზრუნველობის უფლების მოპოვების თაობაზე, რომელიც არის განხილვის სტადიაში.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
განაცხადი (ს.ფ. 14-17).

3.1.8. ნიქოზიის საოჯახო სასამართლოს 2012 წლის 24 ივლისის დროებითი განჩინების თანახმად, თ-----ეს აეკრძალა გადაადგილოს ან გადაიყვანოს კვიპროსის ფარგლებს გარეთ მხარეთა არასრულწლოვანი შვილი კ-----ე მანამ, სანამ არ მოხდება ფ-----ის განცხადების განხილვა. ამასთან კ-----ის სახელი ჩაიწერა იმ პირთა კატალოგში, რომელთაც ეკრძალებათ კვიპროსიდან გასვლა. აღნიშნული სასამართლოს გადაწყვეტილების ძალით, ნებადართულია თ-----ის თანხმობის გარეშე, განახლდეს არასრულწლოვანის პასპორტი, გამოიცეს ახალი დაბადების მოწმობა და კვიპროსის რესპუბლიკაში მისი ცხოვრების ნებართვა.

სასამართლო განხილვების დროს, მიუხედავად იმისა, რომ თ-----ე გამოძახებული იქნა კანონით დადგენილი წესით, არ ცხადდება ნიქოზიის საოჯახო სასამართლოში.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
სასამართლოს გადაწყვეტილება (ს.ფ. 32-33, 37).

3.1.9. 2012 წლის 14 აგვისტოს ფ-----ემ გასცა წერილობითი თანხმობა, როლითაც თ-----ეს მიეცა უფლება წაეყვანა შვილი საქართველოში არდადეგების გასატარებლად.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
მხარეთა ახსნა-განმარტება, თანხმობა (ს.ფ.28).

3.2. არასრულწლოვანი კ-----ე მშობლებთან ერთად მუდმივად

ცხოვრობდა კვიპროსში, ხოლო მამის არყოფნის და 2011 წლიდან თ-----ის მუდმივად საქართველოში ცხოვრების პერიოდში, მასზე ფაქტობრივ მეურვეობას და მზრუნველობას ახორციელებდა დედა ფ-----ე 2012 წლის 14 აგვისტომდე.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
მხარეთა ახსნა-განმარტება, თანხმობა, გადაწყვეტილება.

3.2.1. თ-----ეს 2010 წლის 26 ნოემბერს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლის (სატრანსპორტო საშუალების მართვა ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში, ანდა სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა ასეთ მდგომარეობაში მყოფი პირისათვის - 116-ე მუხლი) მე-4 ნაწილით და 2013 წლის 16 იანვარს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლის მე-3 ნაწილით, ჯარიმის სახით შეეფარდა 500 ლარი.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
ცნობა (ს.ფ. 136)

3.2.2. კ-----ე საქართველოში ცხოვრობს ბოლნისში, მამასთან და 68 წლის ბებიასთან ერთად. საცხოვრებელი პირობები და გარემო დამაკმაყოფილებელია. იგი ირიცხება მსმენელად ბოლნისის სპს საშუალო სკოლა „დავითიანში“. სურვილი აქვს იცხოვროს საქართველოში მამასთან ერთად, უკეთესია დედაც საქართველოში ჩამოვიდეს. არასრულწლოვანის განმარტებით, მამას აქვს სხვა საცხოვრებელი სახლიც, სადაც ზოგჯერ რჩება და ამ დროს ის იმყოფება ბებიასთან.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
მხარეთა ახსნა-განმარტება.

3.2.3. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დასკვნის თანახმად, რომელიც ემყარება საქმეში არსებულ მასალებს, მის მიერ ჩატარებულ კვლევებს, ფსიქოლოგის დასკვნას, არასრულწლოვანის განმარტებებს, ბავშვის სამომავლო კეთილდღეობისა და ინტერესების გათვალისწინებით მიზანშეწონილია არასრულწლოვანის დაბრუნება საბერძნეთში.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დასკვნა.

3.2. დადგენილი სადავო ფაქტობრივი გარემოებები

3.2.1. საქმის მასალებით, რომელიც მოიცავს მხარეთა ახსნა-განმარტებების, საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებების, არასრულწლოვანის განმარტების, ფსიქოლოგის, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დასკვის ურთიერთშეჯერების საფუძველზე მიღებულ შეფასებას, არ დასტურდება სერიოზული რისკის არსებობა იმის თაობაზე, რომ გარემო რომელშიც კ-----ე აღმოჩნდება, შეუქმნის მას ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ საფრთხეს ან სხვაგვარად ჩააყენებს გაუსაძლის მდგომარეობაში. ამასთან, მხარეს, რომელიც ბავშვის კვიპროსში დაბრუნების წინააღმდეგია, აღნიშნული გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულებები არ წარმოუდგენია.

სამოტივაციო ნაწილი:

4. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე, სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ ვინაიდან არ იკვეთება არასრულწლოვან კ-----ის ინტერესების საწინააღმდეგო, კვიპროსში დაბრუნების შეუძლებლობის კონვენციით გათვალისწინებული საგამონაკლისო გარემოებები, სარჩელი საფუძველიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

5. კანონები, რომლებითაც სასამართლომ იხელმძღვანელა

„ ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ” 1980 წლის ჰააგის კონვენცია; საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1205-ე, “ბავშვის უფლებათა შესახებ” კონვენციის მე-6; მე-9; მუხლები.

6. სამართლებრივი შეფასება

6.1. “ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ” კონვენციის პირველი მუხლის თანახმად:

კონვენციის მიზნებია:

- რომელიმე ხელშემკვრელ სახელმწიფოში არამართლობიერად გადაყვანილი ან დაკავებული ბავშვების სწრაფი დაბრუნების უზრუნველყოფა; და
- უზრუნველყოფა იმისა, რომ მეურვეობისა და ურთიერთობის უფლებანი, გათვალისწინებული ერთ–ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს კანონმდებლობის მიხედვით, ეფექტიანად სრულდებოდეს მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში.

კონვენციის მე-2 მუხლით, ხელშემკვრელი სახელმწიფოები ყველა სათანადო ზომას იღებენ თავიანთი ტერიტორიების ფარგლებში ამ კონვენციის მიზნების რეალიზაციის უზრუნველსაყოფად. ამ მიზნით ისინი იყენებენ ხელთარსებულთაგან უსწრაფეს პროცედურებს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1305¹ მუხლის თანახმად, კონვენციის მიზნებისათვის ცენტრალური ორგანოს ფუნქცია აქვს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფს.

კონვენციის მე-3 მუხლი განსაზღვრავს ბავშვის გადაადგილების ან დაკავების არამართლზომიერად მიჩნევის კრიტერიუმებს. კერძოდ:

ბავშვის გადაადგილება ან დაკავება არამართლზომიერად უნდა ჩაითვალოს, როდესაც:

a) ეს წარმოადგენს დარღვევას მეურვეობის უფლებებისა, მიკუთვნებულისა პირისთვის, დაწესებულებისთვის ან სხვა ორგანოსთვის, ერთობლივად თუ ცალკე, იმ სახელმწიფოს კანონმდებლობის მიხედვით, რომელშიც ბავშვი ჩვეულებრივ ცხოვრობდა უშუალოდ გადაადგილებამდე ან დაკავებამდე; და

b) გადაადგილების ან დაკავების დროისათვის ეს უფლებები რეალურად გამოიყენებოდა, ერთობლივად თუ ცალკე, ანდა ამგვარად გამოყენებული იქნებოდა, რომ არა გადაადგილება ან დაკავება.

ზემოთ, a) ქვეპუნქტში მოხსენიებული მეურვეობის უფლებანი შეიძლება, კერძოდ, წარმოიქმნას კანონის მოქმედების შედეგად, სასამართლო ან ადმინისტრაციული გადაწყვეტილების საფუძველზე, ანდა ამ სახელმწიფოს კანონმდებლობის მიხედვით კანონიერი ძალის მქონე შეთანხმების საფუძველზე.

კონვენციის მე-4 მუხლით, კონვენცია გამოიყენება ნებისმიერი იმ ბავშვის მიმართ, რომელიც ჩვეულებრივ ცხოვრობდა ხელშემკვრელ სახელმწიფოში მეურვეობის ან ურთიერთობის უფლებათა დარღვევამდე. მე-5 მუხლის თანახმად, ამ კონვენციის მიზნებისათვის „მეურვეობის უფლებები“ მოიცავს უფლებებს, რომლებიც შეეხება ბავშვის პიროვნებაზე მზრუნველობას და, კერძოდ, ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის უფლებას.

ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-6 მუხლის მეორე ნაწილით მონაწილე სახელმწიფოები შესაძლებლობისამებრ მაქსიმალურად უზრუნველყოფენ ბავშვის სიცოცხლის შენარჩუნებას და ჯანსაღ განვითარებას, ხოლო ამავე კონვენციის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ბავშვი არ დაშორდეს თავის მშობლებს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, იმ შემთხვევათა გამოკლებით, როცა კომპეტენტური ორგანოები სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, სათანადო კანონისა და პროცედურის შესაბამისად

განსაზღვრავენ, რომ ასეთი დაშორება აუცილებელია და უკეთ ემსახურება ბავშვის ინტერესებს.

ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-6 მუხლის მეორე ნაწილის მეორე წინადადების თანახმად, მშობლებს ან შესაბამის შემთხვევაში კანონიერ მეურვეებს ეკისრებათ ძირითადი პასუხისმგებლობა ბავშვის აღზრდასა და განვითარებაზე, ბავშვის ყველაზე ჭეშმარიტი ინტერესები წარმოადგენს მათი ზრუნვის საგანს.

მოცემულ შემთხვევაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ფოტინი კიურჯიდიუ-ბრეგვაძემ სარჩელი არასრულწლოვანი შვილის - კ-----ის დაბრუნების თაობაზე წარადგინა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მეშვეობით “ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ” კონვენციის შესაბამისად.

დადგენილია, რომ კ-----ის მუდმივ საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენდა კვიპროსი, სადაც ის ცხოვრობდა დედასთან ერთად და რომელიც მასზე ფაქტობრივად ახორციელებდა მეურვეობას. ნიქოზიის საოჯახო სასამართლოს 2012 წლის 24 ივლისის დროებითი განჩინების თანახმად, თ-----ეს აეკრძალა კ-----ის კვიპროსის ფარგლებს გარეთ გადაადგილება ან გაყვანა მანამ, სანამ არ მოხდება ფ-----ის განცხადების განხილვა. ამასთან კ-----ის სახელი ჩაიწერა იმ პირთა კატალოგში, რომელთაც ეკრძალებათ კვიპროსიდან გასვლა.

2012 წლის 14 აგვისტოს ფ-----ემ გასცა წერილობითი თანხმობა, როლითაც თ-----ეს მიეცა უფლება წაეყვანა შვილი საქართველოში არდადეგების გასატარებლად.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, კ-----ე წარმოადგენს „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ” 1980 წლის ჰააგის კონვენციის (მე-3 მუხლი) საფუძველზე საქართველოს ტერიტორიაზე არამართლზომიერად დაკავებულ ბავშვს, ვინაიდან ბავშვი დღემდე იმყოფება საქართველოში და მამამ არ უზრუნველყო ბავშვის უკან დაბრუნება მხარეთა შეთანხმებისამებრ.

“ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ” კონვენციის მე-12 მუხლის თანახმად, როდესაც ბავშვი არამართლზომიერად არის გადაადგილებული ან დაკავებული მე-3 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში და იმ ხელშემკვრელ სახელმწიფოს, სადაც ბავშვი იმყოფება, სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საქმის გარჩევის დაწყების თარიღისათვის გასულია ერთ წელზე ნაკლები ვადა არამართლზომიერად გადაადგილების ან დაკავების თარიღიდან, აღნიშნული ორგანო დაუყოვნებლივ იძლევა განკარგულებას ბავშვის დაბრუნების თაობაზე.

“ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ” კონვენციის მიზანია უზრუნველყოს ბავშვის საერთაშორისო დაცვა მათი არამართლზომიერი გადაადგილების ან დაკავების მავნე შედეგებისაგან, რომელიც ემსახურება ბავშვის საერთაშორისო გატაცების ფაქტების აღკვეთას, მათი ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილის სახელმწიფოში უსაფრთხო, დროული და სწორად დაბრუნების თავალსაზრისით, თუმცა აღნიშნული პროცედურების განხორციელება, უპირველესად ეფუძნება ბავშვის ინტერესების უზენაესობას - სადავო საკითხი გადაწყვეტილი იქნეს ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით - რომელიც გულისხმობს მის უფლებას არ აღმოჩნდეს ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური საფრთხის წინაშე, ან აუტანელ მდგომარეობაში.

ამდენად, აღნიშნული კონვენციის განხორციელებისას პრიორიტეტს წარმოადგენს კონვენციის მიზნის (ბავშვის უკანონო გატაცების აღკვეთა) მიღწევა, უფრო მაღალი ღირებულებების - ბავშვის უფლებების დაცვით, მისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნის გათვალისწინებით. სწორედ ამ გარემოებების მხედველობაში მიღებით აღნიშნული კონვენცია ადგენს გამონაკლისებს ბავშვის დაბრუნებასთან მიმართებით. კერძოდ, კონვენციის მე-13 მუხლით, მიუხედავად წინამავალი მუხლის დებულებებისა, მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული არ არის, გასცეს განკარგულება ბავშვის თაობაზე, თუკი პირი, დაწესებულება ან სხვა ორგანო, რომელიც მის დაბრუნებას ეწინააღმდეგება, დაადგენს, ამავე მუხლით გათვალისწინებულ გარემოებებს - კერძოდ:

ა) პირი, დაწესებულება ან სხვა ორგანო, რომლის მზრუნველობის ქვეშაც იმყოფება ბავშვის პიროვნება, რეალურად არ სარგებლობდა მეურვეობის უფლებებით გადაადგილების ან დაკავების დროისათვის, ანდა დაეთანხმა ან მოგვიანებით შეეგუა გადაადგილებას ან დაკავებას; ან

ბ) არსებობს იმის სერიოზული რისკი, რომ მისი დაბრუნება ბავშვს ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ საფრთხეს შეუქმნის, ან სხვაგვარად ჩააყენებს ბავშვს აუტანელ მდგომარეობაში.

სასამართლო ან ადმინისტრაციულ ორგანოს აგრეთვე შეუძლია უარი განაცხადოს ბავშვის დაბრუნების შესახებ განკარგულების გაცემაზე, თუკი იგი აღმოაჩენს, რომ ბავშვი მისი დაბრუნების წინააღმდეგია და მან უკვე მიაღწია ისეთ წლოვანებასა და მოწიფულობის ასაკს, როდესაც მიზანშეწონილია მისი აზრის გათვალისწინება.

გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული კონვენციის ფარგლებში არ არის მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი, თუ ვის უნდა დაეკისროს ბავშვის მეურვეობა.

მოცემულ შემთხვევაში თ-----ეს, რომელიც წინააღმდეგია ბავშვის დაბრუნების, დასაბუთებული პრეტენზია და შესაბამისი მტკიცებულება დამადასტურებელი იმისა, რომ არსებობს სერიოზული რისკი, გარემო რომელშიც კ-

-----ე აღმოჩნდება, შეუქმნის მას ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ საფრთხეს ან სხვაგვარად ჩააყენებს გაუსაძლის მდგომარეობაში, არ წარმოუდგენია აღნიშნული, არც საქმის ყოველმხრივი, სრული და საფუძვლიანი გამოკვლევის შედეგად დადგინდა. რაც შეეხება ბავშვის სურვილს იცხოვროს საქართველოში, სასამართლო აღნიშნავს, რომ მისი შეფასება უნდა მოხდეს საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების, ფსიქოლოგის დასკვნის, ბავშვის ფსიქო-ემოციური, დღეს არსებული და სამომავლო კეთილდღეობის, არასრულწლოვანის განმარტებების სწორად შეფასების შედეგად, მისი უპირატესი ინტერესების გათვალისწინებით.

სასამართლო, არასრულწლოვანის მიერ მიცემული განმარტებების, მხარეთა პოზოციების შეჯერების, ფსიქოლოგის შეფასების გათვალისწინებით მიიჩნევს, რომ მამის გარემო, რომელშიაც დღევანდელი მდგომარეობით კ-----ეს უწევს ყოფნა და ამ გარემოში არსებული პოზიცია მისი საქართველოში დარჩენის თაობაზე, ქვეცნობიერად განაწყობს მას ამ გადაწყვეტილების მიღებისაკენ. გასათვალისწინებელია, რომ ბავშვი არ აკეთებს არჩევანს მშობლებს შორის. სასამართლოს შეკითხვაზე თუ რატომ სურს დარჩენა, პასუხობს, რომ აქ ურჩევნია, ვინაიდან აქვს შესაძლებლობა ითამაშოს ეზოში, იაროს კალათბურთზე. ამდენად მისი არჩევანი თავისუფალი დროის და გართობის თვალსაზრისით მისთვის მისაღებია, რაც ვერ მიიჩნევა დასაბუთებულ და მისი ინტერესების შესაბამის არგუმენტად, ასევე სხვა ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, კერძოდ:

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ კონსტანტინე ბრეგვაძე სწავლობდა კვიპროსის რესპუბლიკაში, წმინდა ანტონიოს სახელობის დაწყებით სკოლაში, სადაც დაასრულა მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 კლასი. გადაყვანილი იქნა და ჩაეწერა მე-6 კლასში.

სკოლაში სწავლის პერიოდში კონსტანტინე იყო მოსწავლეებში გამორჩეული თავისი მეგობრული ურთიერთობით. მონაწილეობას იღებდა სკოლის აქტიურ ცხოვრებაში და იყო თავისი ცხოვრების ორიგინალური ნაწილი. მისი არ ყოფნა მეგობრებსა და კლასელებს შორის იყო საგრძნობი. იგი ხასიათდება გამჭრიახი გონებით, საზოგადოებრივი მოწიფულობით, განსჯის უნარით. დადებითად აოცებდა მასწავლებლებს მექანიზმებითა და ელექტრონულ სისტემებთან თავისი დამოკიდებულებით. დღევანდელი მდგომარეობით კი ბავშვი ირიცხება მსენელად ქართულ სკოლაში. არასრულწლოვანის განმარტებით ირკვევა, რომ საქართველოში ის ჩამორჩება საგნებს. ენატრება მეგობრები რომელთანაც დღემდე აქვს სატელოფონო კავშირი. ენატრება და უყვარს დედა. დღესასწაული იქნება თუკი დედა ჩამოვა და დედ -მამა შერიგდება. ბავში სრულად ათვიცნობიერებს იმ გარემოებას, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით ის შეიძლება დაბრუნდეს კვიპროსში, რასაც გაგებით ეკიდება.

ფსიქოლოგის განმარტების თანახმად, ბავშვი არის მოწყენილი, სევდიანი, დედასთან მოცილება არის დანაკლისი, რამაც მის ფსიქო-ემოციურ განწყობაზე შეიძლება

იქონიოს უარყოფითი გავლენა. რაც შეეხება იმ ურთიერთობების და განწყობის შეცვლას, რაც კონსტანტინეს საქართველოში ყოფნის განმავლობაში ჩამოუყალიბდა დამღევადია, დედის სიყვარულისა და მისთვის ჩვეული გარემოს გათვალისწინებით და სერიოზული საფრთხე არ იკვეთება.

სასამართლოს, მხარეთა და არასრულწლოვანის ახსნა-განმარტების მოსმენის, საქმეში არსებული მასალების, ფსიქოლოგისა და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დასკვნის საფუძველზე მიაჩნია, რომ კონსტანტინე ბრეგავაძის საქართველოში დარჩენა გამოიწვევს მისთვის სწავლის პროცესის შეფერხებას, ხელშეშლას, არასტაბილურობის განცდას, რაც უარყოფითად იმოქმედებს არასრულწლოვანის განვითარებასა და ფსიქო-ემოციურ განწყობაზე და დაუშვებელია.

გარდა აღნიშნულისა, სასამართლო იზიარებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დასკვნას იმის თაობაზე, რომ არ იკვეთება მამის მხრიდან, ბავშვსა და დედის მშობლებს შორის ურთიერთობის დასტაბილურებისა და თბილი დამოკიდებულების შენარჩუნების მცდელობა; მან დაარღვია შეთანხმება, ვადაში დაებრუნებია ბავშვი, რითაც ის მოწყვიტა სწავლის პროცესს სადაც კონსტანტინე იღებდა ძირითად, საფუძვლიან განათლებას. თ-----ის ახსნა-განმარტების მოსმენის შედეგად, არ გამოიკვეთა ასევე მამის აქტიური როლი კვიპროსში, მეუღლეთა თანაცხოვრების დროს ბავშვის განათლების მიღებასთან დაკავშირებით. მამის მიერ დედის მიმართ არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულება, რაც გარკვეულწილად ასახულია ბავშვზეც, გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა დედა-შვილს შორის ურთიერთობა გაუცხოვდეს და დედასთან ურთიერთობის დანაკლისმა უარყოფითად იმოქმედოს ბავშვის ფსიქო-ემოციურ განწყობაზე. აღნიშნული ქმედებები კი ვერ მიიჩნევა ბავშვის სწორად აღზრდის გარანტად. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებით დასტურდება, რომ დედა თავისი ქმედებით ცდილობს ხელი შეუწყოს მამა-შვილს შორის ურთიერთობის შენარჩუნებასა და გაღრმავებას, რისი დასტურიცაა მისი თანხმობა არდადეგების გასატარებლად ბავშვის საქართველოში გაყვანის თაობაზე, ბავშვის დადებითი დამოკიდებულება მამის და მისი ნათესავების მიმართ.

ამდენად, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე, სასამართლოს მიაჩნია, რომ ვინაიდან არ იკვეთება ბავშვის დედასთან დაბრუნების საფრთხის შემცველი გარემოებები, ადგილი არ აქვს კონვენციით გათვალისწინებულ საგამონაკლისო შემთხვევას და ბავშვის უპირატესი ინტერესების გათვალისწინებით, არსებობს კ-----ის კვიპროსის რესპუბლიკაში დაბრუნების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.

7. საპროცესო ხარჯები

მხარეები, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის პირველი

ნაწილის "თ" ქვეპუნქტის საფუძველზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებული არიან არამართლზომიერად გადადილებული ან არამართლზომიერად დაკავებული ბავშვის დაბრუნებასთან დაკავშირებულ საქმეებზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 351¹⁷-ე მუხლის თანახმად, არამართლზომიერად გადაადგილებული ან არამართლზომიერად დაკავებული ბავშვის დაბრუნების ან ბავშვთან ურთიერთობის უფლების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს მის აღსრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელემ როგორც იუსტიციის სამინისტროს მიმართ წარდგენილ განცხადებაში ბავშვის გატაცების თაობაზე, ასევე სასამართლო სხდომაზე დაადასტურა განზრახვა ბავშვის კვიპროსის რესპუბლიკაში დაბრუნების და დაბრუნებასთან დაკავშირებული ხარჯების თავად უზრუნველყოფის თაობაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3, მე-8, 46-ე, 351¹⁷-ე, 243-ე, 351⁹-ე მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ფ-----ის სარჩელი თ-----ის მიმართ ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ" 1980 წლის ჰააგის კონვენციის შესაბამისად კვიპროსის რესპუბლიკიდან გადაადგილებულ არასრულწლოვან კ-----ის დაბრუნების თაობაზე დაკმაყოფილდეს.

2. 11.27.2000წ. დაბადებული კ-----ე დაუბრუნდეს დედას 19.04.1980წ. დაბადებულ ფ-----ეს (F-----) (პასპორტის # A-----); პირადობის მოწმობის # AK 099628), მცხოვრები - კვიპროსის რესპუბლიკა, ნიქოზია, სმირნის ქუჩა 35.

3. 11.27.2000წ. დაბადებულ კ-----ის კვიპროსის რესპუბლიკაში დაბრუნება და მასთან დაკავშირებული ხარჯი უზრუნველყოს დედამ ფოტინი კიურჯიძე-ბრეგვაძემ.

4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოში დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში, სარეზოლუციო

ნაწილის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული წესების დაცვით თბილისის საქალაქო სასამართლოს მეშვეობით.

5. გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე, თუ ის ესწრება გადაწყვეტილების გამოცხადებას ან მისთვის ცნობილია გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა, გამოცხადდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი. წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

მოსამართლე:

დ. აბუანდაძე